საჯარო სამართლის იურიდიულ პირს
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

განმცხადებელი: მალხაზ ყირიმლიშვილი (პ/ნ. 01024036164),
მისამართი: ქ. თბილისში, ჩერქეზიშვილის ქ. #28
ტელ: 599270037

განცხადება

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმოებაშია შპს „იმარ საქართველოს“ განაცხადი AR1585006, რომლითაც ის ითხოვს ქ. თბილისში, გ. ისაკაძის ქ. #29-ში უკვე დასრულებული მშენებლობის ნებართვის გაგრძელებას და დამტკიცებული პროექტის კორექტირებას.

შპს „იმარ საქართველოს“ განაცხადით და წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით დაარღვეულია მშენებლობის ნებართვის მიღების დროს მოქმედი „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში „რეგულირების წესები“) 2009 წლის 27 მარტს ქალაქ თბილისის საკრებულოს N 4-13 გადაწყვეტილება, რომელიც ვრცელდება დღეს მოქმედ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება №14-39) გადაწყვეტილებამდე გაცემულ ნებართვებზე.

კერძოდ, რეგულირების წესების 34-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, „შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და ტერასის გარეშე.“ ამავე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლე დამოკიდებულია შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს არსებულ საანგარიშო ზედაპირსა და სამეზობლო საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყემდე პერპენდიკულარულ დაშორებაზე და 3.0 მ-დან 7.5 მ-მდე დაშორების შემთხვევაში – იანგარიშება შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 11 მარტის #161 ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო ადგენს, რომ საპროექტო 01.10.12.017.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს სამეზობლო საზღვარი აქვს ჩემს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი #01.10.12.017.017) და სამეზობლო საზღვრის არსებობის გათვალისწინებით ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ხსენებულ უძრავ ქონებასთან მიმართებაში ვრცელდება შენობა-ნაგებობათა მიჯნის ზონაში განთავსების ზემოთ მითითებული წესები.

ჩვენს შემთხვევაში, სამეზობლო საზღვრიდან დაშორება შეადგენს 7.21 მეტრს (შპს „ენ ლაინი“ის მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი), შესაბამისად: 7,21:0,4=18 მეტრს, რაც ნიშნავს, რომ საპროექტო 28,4 მ. სიმაღლის შენობაზე - 18 მეტრის ზემოთ არსებული აივნები და ღიობები მოწყობილია მითითებული ნორმის დარღვევით და პროექტი, ისევე როგორც ნაგებობა საჭიროებს შესაბამის კორექტირებას.

რაც შეეხება შენობის სიმაღლეს, გაზრდილი კოეფიციენტის (კ-2=4) ფარგლებში, მისი სიმაღლე უნდა ყოფილიყო 28,4 მეტრი, რაც დარღვეულია და შენობის რეალური სიმაღლე არის 31,2 მ. ხოლო 7 სართულიანი კორპუსის ნაცვლად აშენებულია 8 სართული ანუ ადგილი აქვს გაზრდილი კოეფიციენტის გადაჭარბებას, რაც დადასტურებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.12.2015 წლის №000743 დადგენილებით, რომლის საფუძველზეც, სამუშაოთა დარღვევით წარმოების გამო

გაბარიტების გაზრდის ხარჯზე, ამასთან სრულადაა უგულებელყოფილი სახანძრო უსაფრთხოების წესები და ნორმები.
აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ ჩამრთოთ საქმის წარმოებაში, როგორც დაინტერესებული მხარე და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:
1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 11 მარტის #161 ბრძანება - 8 ფურცელი;
2. შპს „ენ ლაინი“ის მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი - 1 ფურცელი;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.12.2015 წლის №000743 დადგენილება - 3 ფურცელი.

პატივისცემით,

განმცხადებელი

მალხაზ ყირიმლიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ბრძანება №161

„11" მარტი 2015 წ.

მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2014 წლის 31 ოქტომბერს მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილმა შემოიტანა №12/14304388-1 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ოქტომბრის №1536393 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილის იდენტური შინაარსის 2014 წლის 28 ოქტომბრის №156 (№07/10863-13 17.11.2014) ადმინისტრაციული საჩივარი გადმოიგზავნა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ნოემბრის №12/14316343-14 წერილით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 181-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე და 194-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2014 წლის 18 და 27 ნოემბერს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომები, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი - მალხაზ ყირიმლიშვილი; მოწინააღმდეგე მხარის, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი – ოთარ ნარჩემაშვილი; დაინტერესებული მხარის, შპს „იმარ-საქართველოს" წარმომადგენელი - გიორგი კვირიკაშვილი.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში განმარტებულია, რომ კოეფიციენტების გაზრდით არქიტექტურული პროექტი არსებითად შეუთავსებელი გახდა დასახლების სპეციფიკასთან. აგრეთვე მითითებულია, რომ საპროექტო ობიექტი მდებარეობს უშუალოდ საჩივრის ავტორის მომიჯნავედ და ზიანს აყენებს მის საცხოვრებელ სახლს. დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, რვასართულიანი კორპუსის მშენებლობის პირობებში შეუძლებელი გახდება ეზოზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მოძრაობა, შეიქმნება პარკირების პრობლემა. შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გადაჭარბებულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით გათვალისწინებული კოეფიციენტები, აგრეთვე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მაქსიმალური სიმაღლე. საჩივრის თანახმად, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას არ არსებობდა საინჟინრო-

გეოლოგიური კვლევის ერთმნიშვნელოვნად დადებითი საექსპერტო შეფასება, რაც სავალდებულოა IV კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის.

გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორი დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, მოხდა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში დაფიქსირებულ გარემოებათა გადამოწმება სამსახურის უფლებამოსილ პირთან - არქიტექტორთან, რომელმაც განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 და შენობის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე გადაჭარბებული არ არის. ექსპერტიზის დასკვნებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი დამკვეთმა უნდა იქონიოს მშენებლობის დაწყებამდე, სამშენებლო მოედანზე.

დაინტერესებული მხარის, შპს „იმარ-საქართველოს“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არის დაუსაბუთებელი. საპროექტო სამუშაოების საფრთხის შემცველობასთან დაკავშირებით მოსაზრება არის მხოლოდ თეორიული ვარაუდი, მაშინ როდესაც დამკვეთის მხრიდან წარმოდგენილია საპირისპირო მტკიცებულება. ამასთან, საპროექტო და საჩივრის ავტორის შენობა-ნაგებობებს შორის დაშორების გათვალისწინებით ძნელად სავარაუდოა რაიმე სახის ზეგავლენა საჩივრის ავტორის უძრავ ქონებაზე. დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის განმარტებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად 15 ბინაზე არის 15 ავტოსადგომი. დაფიქსირებული პოზიციის თანახმად, შენობის საანგარიშო ზედაპირი სამეზობლო საზღვრიდან დაშორებულია 7.5 მეტრით, რა შემთხვევაშიც შეზღუდვა ღიობებთან დაკავშირებით აღარ არსებობს.

არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე რომ მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილის ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საჯარო რეესტრიდან 2013 წლის 6 აგვისტოს №882013363193 ამონაწერის საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ საჩივრის ავტორი მალხაზ ყირიმლიშვილი არის ქ. თბილისში, ჩერქეზიშვილის ქუჩა №28, №01.10.12.017.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე.

საჯარო რეესტრიდან 2014 წლის 7 ნოემბრის №882014590472 ამონაწერით დგინდება, რომ შპს „იმარ-საქართველო“ არის ქ. თბილისში, გაბრიელ ისაკაძის ქ. №29-ში მდებარე №01.10.12.017.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრე.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ოქტომბრის №1536393 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გაბრიელ ისაკაძის ქ. №29-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.12.017.016) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ თავის მიზნებისათვის სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის 2 სახის: ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს (მათ შორის ჩიხს). ბ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი – როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთს, ან ისეთ არასამშენებლო მიწის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიჯნის ზონა წარმოადგენს სამშენებლო მიწის ნაკვეთის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრებიდან დაშორებულია 3,0 მეტრ მანძილზე ნაკლებით.

საქმეში წარმოდგენილია ამონარიდი საქართველოს საკადასტრო რუკიდან. მოცემული დოკუმენტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო ადგენს, რომ საპროექტო №01.10.12.017.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს სამეზობლო საზღვარი აქვს მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილის საკუთრებაში არსებულ №01.10.12.017.017 მიწის ნაკვეთთან. სამეზობლო საზღვრის არსებობის გათვალისწინებით ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ხსენებულ უძრავ ქონებებთან მიმართებაში ვრცელდება შენობა-ნაგებობათა მიჯნის ზონაში განთავსების წესები.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, “შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის. ერკერის და ტერასის გარეშე”. ამავე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, „შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლე დამოკიდებულია შენობის სამეზობლო საზღვრის მხარეს არსებულ საანგარიშო ზედაპირსა და სამეზობლო საზღვრის წარმოსახვით ვერტიკალურ სიბრტყემდე პერპენდიკულარულ დაშორებაზე ქვემოთ მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად: ა)3.0 მ დაშორების შემთხვევაში – 7.5 მ-მდე სიმაღლეზე; ბ)3.0 მ-დან 7.5 მ-მდე დაშორების შემთხვევაში – შემდეგი ფორმულის შემდეგი შეფარდების შესაბამისად: დაშორება გაყოფილი 0.4-ზე; გ)7.5 მ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში – საანგარიშო ზედაპირის მაქსიმალურ სიმაღლემდე.“

საქმის მასალებში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის, ირინე ანთელავას განმარტება, რომლის თანახმადაც, №01.10.12.017.017 მიწის ნაკვეთის მხარეს განთავსებული ღიობების მინიმალური დაშორება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე შეადგენს 7.50 მეტრს ყველა ნაშენულზე. ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საკადასტრო საზღვრიდან შენობის

საანგარიშო ზედაპირის 7.5 მეტრიდან დაშორების შემთხვევაში ღია ნაწილის მოწყობა შესაძლებელია ნებისმიერ სიმაღლეზე, ამდენად, საჩივრის ავტორის მიწის ნაკვეთთან არსებული სამეზობლო საზღვრის მხარეს დაცულია კედელში არსებული ღია ნაწილების საანგარიშო ზედაპირზე მოწყობის სიმაღლეები. მიჯნის ზონაში განთავსების წესები დაცულია №01.10.12.017.017 მიწის ნაკვეთის მხარეს განთავსებულ ტერასებთან და აივნებთან მიმართებაშიც. კერძოდ, იმავე განმარტებაში მითითებულია, რომ 0.00 ნიშნულზე მინიმალური დაშორება ტერასის კიდიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარზე შეადგენს 3.73 მეტრს +23.10 ნიშნულზე 7.00 მეტრს. აივნის კიდიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრამდე ნიშნულების მიხედვით იდენტურია და შეადგენს 5.13 მეტრს. გამომდინარე იქედან, რომ დაშორების მოცემული მაჩვენებლები აღემატება 3 მეტრს, აივნები და ტერასები არ ჩაითვლება მიჯნის ზონაში განთავსებულად.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე უნდა განისაზღვროს მისი საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის ან/და უკანა ეზოს მხრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ამავე გადაწყვეტილების მეორე პუნქტის თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე განისაზღვრება ფორმულით H=L/Y.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვრება საზოგადოებრივ საზღვართან მიმართებაში, აგრეთვე სამშენებლო მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს მხარეს მდებარე შენობის საანგარიშო ზედაპირის გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან სამეზობლო საზღვრის წარმოსახვითი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ. საზოგადოებრივ საზღვართან მიმართებაში აქტის კანონიერების შესწავლა სცდება ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებს, რამდენადაც, არ შეიძლება მოცემული გარემოება ზიანს აყენებდეს საჩივრის ავტორის კანონიერ ინტერესებს. ადმინისტრაციული ორგანო დამატებით განმარტავს, რომ „უკანა ეზო“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება ქალაქგეგმარებითი პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის, ოთარ ნარჩემაშვილის განმარტებით, ასეთი არ ყოფილა დადგენილი. ამ მხრიდან მოქმედებს მიჯნის ზონაში შენობათა განთავსების წესები, რომლის შესაბამისადაც შენობის მაქსიმალური სიმაღლე არ განისაზღვრება. ამდენად, დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის წარმომადგენლის აპელირება ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში აქტის ბათილობის საფუძვლად სიმაღლის განსაზღვრის სხივის არსებულ ნორმებთან შეუსაბამობაზე მითითების თაობაზე.

ადმინისტრაციული ორგანო დამატებით უთითებს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის, III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის ირინე ანთელავას განმარტებაზე, რომლის

თანახმად, პროექტი ითვალისწინებს მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემას და იგი შედგენილია ქალაქგეგმარებითი პირობების შესაბამისად.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 33-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შემდეგი დოკუმენტები: ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ბ) საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა ამ დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად, გ) სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, დ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად, ე) შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი ან სქემა საჭირო დეტალიზაციით, ე.ბ) III და IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისას – კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისგან.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის №454 დადგენილებით, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც, დასკვნის მოპოვება გახდა დამკვეთის ვალდებულება და იგი აღარ განიხილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენ დოკუმენტად. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული ორგანო დამატებით მიუთითებს ამავე დადგენილების 94^1 მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმადაც „მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს, შესაბამისი დოკუმენტის ავტორს (შემსრულებელს) და მშენებლობის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)." ხსენებული ვალდებულების დაცვაზე კონტროლსა და ზედამხედველობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-63 დადგენილებით დამტკიცებული დანართის თანახმად, ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რომელიც ატარებს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებას, იღებს შესაბამის ზომებს და ეს ყოველივე არ არის კავშირში ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის კანონიერებასთან.

ადმინისტრაციული ორგანო დამატებით განმარტავს, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის ქონის ვალდებულების თაობაზე დამკვეთს განმარტებული აქვს სადაო ბრძანების 5.1 და 5.2 პუნქტებით.

ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილია შპს „ს დი აი" კომპანიის 2014 წლის 25 ნოემბრის დასკვნა, რომლის თანახმადაც, საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შედეგად, ისაკაძის №29-ში ასაშენებელი შენობის

მშენებლობა უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ჩერქეზიშვილის ქ. №28-ში მდებარე შენობაზე, თუ დაცული იქნება სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები.

„ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 განსაზღვრავს, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობების განთავსება.

ამავე გადაწყვეტილების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2 განსაზღვრავს, ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სრული სართულების, აგრეთვე სრულ სართულთან, ამ წესებით გათანაბრებული მანსარდის ან მისი ნაწილის იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამურ ფართობს.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ კ-1 და კ-2 კოეფიციენტების გადაჭარბება, არ გადაჭარბების საკითხი ვერ იქნება გამოკვლეული ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში. კოეფიციენტები დადგენილია საპროექტო და არა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში. შესაბამისად, არ დგინდება ამ ნაწილში, საჩივრის ავტორისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. აქვე, აღსანიშნავია, საქმის მასალებში წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის, III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის ირინე ანთელავას განმარტება, რომლის თანახმადაც, საპროექტო გადაწყვეტით გამოყენებული კ2 კოეფიციენტი არ ამეტებს ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 19 დეკემბრის №2916 განკარგულებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს კ2=4.0.

სადაო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროისთვის მოქმედი ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნის შესახებ წესდება (დებულება), რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ფუნქციებში შედის: ა) არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით დადგენილ ტერიტორიაზე; ვ) დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა; რ) სამშენებლო საქმიანობის კოორდინაციისა და რეგულირების ერთიანი პოლიტიკის გატარება, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს მათი შეთანხმება. „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონმდებლობის შესაბამისად მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში გასცეს ნებართვები.

I ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ახორციელებს ერთიან საჯარო ხელისუფლებას, მათ შორის განიხილავს და აფასებს ამა თუ იმ საპროექტო წინადადების შესაბამისობას ქალაქის ჩამოყალიბებულ იერსახესთან და მომავალი განვითარების კონცეფციასთან. გამომდინარე იქედან, რომ უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა დასაშვებად მიიჩნია შეთანხმებული გაბარიტებისა და ვიზუალის შენობა-ნაგებობის მშენებლობა, ვერ იქნება გაზიაებული საჩივრის ავტორის მოსაზრება, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის განხორციელებით, არსებულ განაშენიანებაში დისონანსის შეტანასთან დაკავშირებით. I

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ი” ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მაცხოვრებელთა რაოდენობის გაზრდით გზის სავარაუდო გადატვირთვა ვერ იქნება შესწავლილი მოცემული ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში. დავის საგანია მშენებლობის ნებართვის და არა გზების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური და ფორმალური კანონიერება. შესაბამისად, ის არგუმენტაციაც, რასაც საჩივრის ავტორი მიუთითებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობის საფუძვლად, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს აქტით, მოცემულ შემთხვევაში, მინიჭებულ უფლებასთან. ამდენად, საჩივრის ავტორის ხსენებული აპელირება არ არის კავშირში დავის საგანთან და ვერ იქნება შესწავლილი წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე

მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება".

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარსა და თანდართულ საქმის მასალებში, ასევე ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმში ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები და არგუმენტაცია, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სადავო ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. არ დაკმაყოფილდეს მოქალაქე მალხაზ ყირიმლიშვილის 2014 წლის 31 ოქტომბრის №12/14304388-1 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ძალაში დარჩეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ოქტომბრის №1536393 ბრძანება.
3. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხელაია

სიტუაციური ნახაზი



მასშტაბი: 1:500

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა UTM WGS 84 38N

მისამართი	ქალაქი თბილისი , გაბრიელ ისაკაძის ქუჩა №29	ნაკვეთის ფართობი	კვ.მ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი სიგრძე	--- მეტრი ---- მეტრი –რაოდენობა
პირობითი აღნიშვნები: ● წერტილი ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი ვალდებულება შენობა-ნაგებობა მდგომარეობა აშენებული		საკადასტრო აზომვაზე უფლებამოსილი პირი	შპს " ენლაინი" ს/ნ: 405184152 , ს. მგალობლიშვილის ქ. №18 ტელ: 032 214 75 10 დირექტორი [illegible]
		დაინტერესებული პირი	მალხაზ ყირიმლიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/9340-15

"02" 12 2015 წ.

დადგენილება №000743
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

02.12.2015წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კახა ცეცხლაძემ განვიხილე 2015 წლის 22 ოქტომბრის №000743 მითითება და 2015 წლის 12 ნოემბრის №000743 შემოწმების აქტი, შედგენილი **მოქ. მარინა ყველიაშვილის** (პირადი №01024033183, მის: ქ. თბილისი, გ. ისაკაძის ქ. №29) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გ. ისაკაძის ქ. №29-ში მოქ. მარინა ყველიაშვილის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1536393 AR1249024 13.10.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი და ადგილმდებარეობა. დამატებულია, ასევე გაუქმებულია რიგელები. შეცვლილია კოლონების რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია აღნიშნული კოლონების გაბარიტი და ადგილმდებარეობა. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. „3-3" და „დ-დ" ღერძების გადაკვეთასთან ნაწილობრივ გაუქმებულია ღიობები. -2.900 ნიშნული: სართული შემცირებულია სიგრძეში, ასევე „5-5" ღერძის გარეთ „ა-ა" და „დ-დ" ღერძებთან შეცვლილია კედლების კონფიგურაცია, რის ხარჯზეც შეცვლილია ფართი. ±0.00 ნიშნული: „5-5" ღერძთან „ბ-ა" მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა, ასევე აღნიშნულ ნიშნულზე და ზევით, „ბ-ა" მონაკვეთში კედლებს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის ხარჯზეც შეცვლილია აივნების ფართი.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2015 წლის 22 ოქტომბერს შედგენილ იქნა მითითება №000743, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2015 წლის 12 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შეღგა შემოწმების აქტი №000743, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, მხარის №97064/12 01.12.2015წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება სამსახურის №000743 22.10.2015წ. მითითებით დაფიქსირებულ დარღვევებს და მოითხოვნილია გადაწყვეტილების . მიღება მხარის დასწრების გარეშე. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქ. მარინა ყველიაშვილის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ, ქ. თბილისში, გ. ინაკაძის ქ. №29-ში მოქ. მარინა ყველიაშვილის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ჯ. თბილტექის არქიტექტურის სამსახურის №1536393 AR1249024 13.10.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. მოქ. მარინა ყველიაშვილი დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. მოქ. მარინა ყველიაშვილს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩარიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, სებიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი საშშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ. მარინა ყველიაშვილს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო აღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ". ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი საში თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობას
შემსრულებელი ჯ. ცეცხლაძე